

მოხმარების ინსტრუქცია

ENDOXAN 1 გრამიანი ინტრავენური საინფუზიო ან საინექციო ხსნარის ფხვნილის შემცველი ფლაკონი

სტერილური, ციტოტოქსიკური

გამოიყენება ვენაში შეყვანის გზით

ეფექტური ნივთიერება: ყოველი ფლაკონი შეიცავს 1000 მილიგრამ ციკლოფოსფამიდს.

დამხმარე ნივთიერებები: საინფუზიო ხსნარის ფლაკონი არ შეიცავს დამხმარე ნივთიერებას.

ამ პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოხმარების ინსტრუქცია, ვინაიდან ის შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

- შეინახეთ წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია. შემდგომში შეიძლება დაგჭირდეთ მისი ხელახლა წაკითხვა.
- დამატებითი კითხვების წარმოქმნის შემთხვევაში, მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.
- ვინაიდან წინამდებარე პრეპარატი პირადად თქვენთვის არის გამოწერილი, სხვა პირებისთვის მისი მიცემა დაუშვებელია.
- წინამდებარე პრეპარატის მოხმარებისას ექიმთან ან ფარმაცევტთან მიმართვის დროს, აუცილებლად აცნობეთ თქვენს ექიმს ამ პრეპარატის მიღების შესახებ.
- დაიცავით წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში აღნიშნული წესები. ექიმის მიერ დანიშნული დოზის გადაჭარბება ან შემცირება დაუშვებელია.

<u>წინამდებარე მოხმარების ინსტრუქციაში მოცემულია ქვემოთ აღნიშნული სათაურები</u>:

1. რას წარმოადგენს ENDOXAN და რისთვის გამოიყენება?
2. რას უნდა მიაქციოთ ყურადღება ENDOXAN-ის მოხმარების დაწყებამდე?
3. როგორ უნდა მოიხმაროთ ENDOXAN?
4. რა სახის გვერდითი ჩვენებები შეიძლება წარმოიქმნას?
5. ENDOXAN-ის შენახვის წესები.

1. რას წარმოადგენს ENDOXAN და რისთვის გამოიყენება?

- ENDOXAN წარმოადგენს ციტოტოქსიკურ (უჯრედების გამანადგურებელ) პრეპარატს. ოს ანადგურებს კიბოს უჯრედებს. ამ გამანადგურებელ ეფექტს „ქიმიოთერაპიის“ეფექტს უწოდებენ.

- ENDOXAN წარმოადგენს გაზავების შემდეგ გამოსაყენებლად წარმოდგენილ მშრალ ფხვნილს. თითო ყუთი შეიცავს მშრალი ფხვნილის ფორმის მქონე პრეპარატის შემცველ ფლაკონს.
- ENDOXAN-ის ინტრავენური გზით შესაყვანად, საჭიროა მარილიან სითხეში მისი გაზავება. გაზავების შემდეგ ხსნარის ყოველი მილილიტრი შეიცავს 20 მილიგრამ ციკლოფოსფამიდს.
- ENDOXAN გამოიყენება სხვადასხვა სახის კიბოს დროს. ხშირ შემთხვევებში ეს პრეპარატი გამოიყენება კიბოს წამლებთან ან სხივურ თერაპიასთან (რადიო თერაპიასთან) ერთად. ზოგიერთ შემთხვევებში, გარდა კიბოს მკურნალობისა, ექიმები ითხოვენ ENDOXAN-ის მოხმარებას. თუ თქვენ ამ მიზნისათვის გესაჭიროებათ ამ პრეპარატის მოხმარება, ამის შესახებ საჭირო ინფორმაციას მოგაწოდებთ თქვენი მკურნალი ექიმი.

2. ENDOXAN-ის მოხმარებამდე დასაცავი წესები:

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ENDOXAN-ის მოხმარება არ არის რეკომენდირებული:

- იმ შემთხვევაში, თუ ადრე გქონდათ ალერგიული რეაქციები ENDOXAN-ის და მის შემცველობაში მყოფი ეფექტური ნივთიერების - ციკლოფოსფამიდის მიმართ,. შეიძლება წარმოიქმნას ისეთი ალერგიული რეაქციები, როგორიცაა სუნთქვის გაძნელება, სუნთქვა ხიხინით, კანზე გამონაყარი და სახის და ტუჩების ქავილი ან დასიება.
- თუ თქვენ ხართ ფეხმძიმედ.
- ძვლის ტვინის ფუნქციების არასრულყოფილების შემთხვევაში (განსაკუთრებით ადრე ქიმიოთერაპიის ან რადიოთერაპიის ჩატარების შემთხვევაში). ძვლის ტვინის ფუნქციების სრულყოფილების დასადგენად, თქვენ ჩაგიტარდებათ საჭირო ტესტირება.
- საშარდე გზების, ანთების და შარდვის დროს ტკივილის შეგრძნების (ცისტიტის) შემთხვევაში.
- ადრე ქიმიოთერაპიის ან რადიოთერაპიის ჩატარების შედეგად თირკმელებთან ან შარდის ბუშტთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში.
- შარდვის გაძნელების (საშარდე გზის გაჭედილობის) შემთხვევაში.

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში მიმართეთ ექიმს:

- ქიმიოთერაპიის ან რადიოთერაპიის დღემდე ან ადრე ჩატარების შემთხვევაში/
- შაქრის დაავადების არსებობის შემთხვევაში.
- თირკმელებთან ან ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემების არსებობის შემთხვევაში. ამ შემთხვევაში თქვენი თირკმელების ფუნქციების სრულყოფილების შესამოწმებლად ჩაგიტარებთ საჭირო ტესტირებას.

- თირკმელზედა ჯირკვლების (ადრენალური ჯირკვლების) ამოჭრის შემთხვევაში.
- გულის პრობლემების არსებობის ან გულის არეში სხივური თერაპიის ჩატარების შემთხვევაში.
- ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში.
- ხანდაზმულ ასაკში ყოფნის შემთხვევაში.

ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას თქვენთვის წამლის შეცვლის შესახებ.

ქვემოთ აღნიშნულ შემთხვევებში ENDOXAN-ის დროს საჭიროა დიდი ყურადღების გამოჩენა:

- ეხ პრეპარატი წარმოადგენს სისხლზე და იმუნურ სისტემაზე გავლენის მომხდენ პრეპარატს.
- ძვლის ტვინში წარმოიქმნება სისხლის უჯრედები. ძვლის ტვინში წარმოიქმნება ქვემოთ აღნიშნული 3 სახის სისხლის უჯრედები:
  - სხეულის ყველა სხვა არეში ჟანგბადის გადამტანი სისხლის წითელი უჯრედები (ერითროციტები);
  - ინფექციურ დაავადებებთან მებრძოლი სისხლის თეთრი უჯრედები (ლეიკოციტები).
  - სისხლდენის პრევენციისათვის მნიშვნელოვანი და სისხლის შედედების ხელშემწყობი ნაწილაკები (თრომბოციტები).
- პრეპარატის მიღების შემდეგ მცირდება სისხლის სამი უჯრედის რაოდენობა, რაც წარმოადგენს ციკლოფოსფამიდის გარდაუვალი გვერდით ეფექტს. აღნიშნული უჯრედების რაოდენობა მაქსიმალურად შემცირდება პრეპარატის მიღების დაწყებიდან 2-დან 10 დღის განმავლობაში და მკურნალობის დასრულების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში იგივე დონეზე დარჩება. მრავალ პაციენტს 21-დან 28 დღეში აღენიშნებოდა სისხლის ჩვეულებრივი მაჩვენებლების ზრდა. ადრე თქვენთვის ქიმიოთერაპიის მრავალჯერ ჩატარების შემთხვევაში, სისხლის ანალიზის შედეგების დასარეგულირებლად უფრო მეტი დრო იქნება საჭირო.
- სისხლის მაჩვენებლების დაცემის დროს, გაიზრდება თქვენი მიდრეკილება ინფექციების მიმართ. მოერიდეთ ხველების, გაციების ან სხვა ინფექციების მქონე პირებთან ახლო კონტაქტს. იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მკურნალი ექიმი თვლის, რომ თქვენ გაქვთ ასეთი ინფექცია ან მისი წარმოქმნის რისკი, ის დაგინიშნავთ საჭირო პრეპარატებს.
- ამ პრეპარატით მკურნალობის დაწყებამდე და მკურნალობის ჩატარების დროს, თქვენი მკურნალი ექიმი ჩაგიტარებთ სისხლის წითელი უჯრედების, სისხლის თეთრი უჯრედების და ნაწილაკების შემოწმებას. მათი დაბალი რიცხვის

შემთხვევაში, თქვენი მკურნალი ექიმი შეგიმცირებთ წამლის დოზას ან გადაგივადებთ შემდგომი დოზის მიღების დღეს.

- ამ პრეპარატმა შეიძლება შეაფერხოს ჭრილობის შეხორცება. რაიმე ჭრილობის ან ნაკაწრის არსებობის შემთხვევაში, დაიცავით მისი სისუფთავე და შეამოწმეთ მისი ნორმალურად შეხორცების პროცესი.
- პრეპარატის მიღების შედეგად პირის ღრუში იარების ან ანთების წარმოქმნის გამო, საჭიროა ღრძილების სათანადოდ მოვლა. ამ საკითხთან დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ თქვენი მკურნალი ექიმისგან.
- ვინაიდან ENDOXAN-ს შეუძლია ზიანი მიაყენოს თქვენი შარდის ბუშტის შიდა ზედაპირს, შარდვის დროს შესაძლებელია წარმოიქმნას ტკივილები და სისხლდენა. ვინაიდან თქვენი მკურნალი ექიმისათვის ცნობილია ამ პრეპარატის ასეთი ეფექტის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში, თქვენი შარდის ბუშტის დასაცავად მან შეიძლება გამოგიწეროთ პრეპარატი მესნა.
- მესნას საინექციო და აბების ფორმასთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ ამ პრეპარატის პაციენტების მოხმარების ინსტრუქცია.
- მიუხედავად იმისა, რომ მესნასთან ერთად ENDOXAN-ის მიმღებ მრავალ პირს აღენიშნება შარდის ბუშტის პრობლემები, პრობლემის არსებობის ან არსებობის ფაქტის დასადგენად, თქვენმა მკურნალმა ექიმმა შეიძლება მოითხოვოს შარდის ანალიზის ჩატარება.
- შარდში სისხლის არსებობის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს, რომელმაც შეიძლება შეგიწყვიტოთ ENDOXAN-ის მიღება.
- კიბოს პრეპარატები და რადიოთერაპია ზრდის კიბოს სხვა დაავადებების წარმოქმნის რისკს, რაც შეიძლება წარმოიქმნას პრეპარატის მიღების დასრულებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ENDOXAN-ის მიღება ზრდის შარდის ბუშტის არეში კიბოს წარმოქმნის რისკს.
- ENDOXAN-ს შეუძლია ზიანი მიაყენოს გულს და იმოქმედოს გულისცემის რითმზე. პრეპარატის მაღალი დოზით მიღების შემთხვევაში, რადიოთერაპიის ან ქიმიოთერაპიის სხვა პრეპარატებთან ერთად მიღებისას რისკი უფროს მეტად გაიზრდება.
- ENDOXAN-ის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ფილტვების ანთება ან ფილტვებში ნაწიბურების წარმოქმნა, რაც შეიძლება წარმოიქმნას პრეპარატის მიღების დასრულებიდან 6 თვის შემდეგ. სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემების დაწყების შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს.
- ENDOXAN-ის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ფატალური შედეგის მქონე ფილტვების პრობლემები. წონაში სწრაფად კლების, მუცლის ზედა მარჯვენა არეში ტკივილების

და სიყვითლის მაგვ არი პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

- პრეპარატის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს თმის ღეროების გათხელება ან თმის ცვენა. თუ თქვენი თმა სხვადასხვა ფერისა და სისქისაა, თმა ხელახლა ამოგივათ.
- ENDOXAN-ის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს გულისრევა, რაც შეიძლება გაგრძელდეს პრეპარატის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში. პრეპარატის მიღების გაგრძელების საჭიროების შემთხვევაში, ამ საკითხთან დაკავშირებით რჩევით მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

ENDOXAN-ის საკვებ-სასმელთან ერთად მიღება:
პრეპარატის მიღების დროს ალკოჰოლის მოხმარების შემთხვევაში, ამან შეიძლება გამოიწვიოს გულისრევის შეგრძნების და პირღებინების ზრდა.

ფეხმძიმობა:
პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.
ვინაიდან ამ პრეპარატის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მუცლის მოშლა ან ჯერ არ დაბადებული ბავშვისათვის ზიანის მიყენება, ENDOXAN-ის მიღების დროს მოერიდეთ ფეხმძიმედ დარჩენას. თუ თქვენ ხართ ფეხმძიმედ. გაქვთ ფეხმძიმედ დარჩენის ეჭვი ან გეგმავთ ფეხმძიმედ დარჩენას, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

- ციკლოფოსფამიდის მიმღებმა პაციენტებმა (ქალებმა ან მამაკაცებმა) პრეპარატის მიღებიდან სულ მცირე 6 ან 12 თვიანი ლოდინის შემდეგ შეიძლება დაიწყოთ ბავშვის გაჩენაზე ფიქრი.
- ENDOXAN-ის მიღებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მომავალში ბავშვის გაჩენის უნარზე. თუ თქვენ ფიქრობთ მომავალში ბავშვის გაჩენას, კვერცხუჯრედის და სპერმის შენახვის საკითხთან დაკავშირებით რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს.

თუ მკურნალობის ჩატარების პერიოდში თქვენ მიხვდებით, რომ ხართ ფეხმძიმედ, რჩევისთვის დაუყოვნებლივ მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

ძუძუთი კვება:
ENDOXAN-ის მიღების პერიოდში ბავშვის ძუძუთი კვება არ არის რეკომენდირებული.

ბავშვის ძუძუთი კვებასთან დაკავშირებით დაიცავით თქვენი მკურნალი ექიმის რჩევები.

პრეპარატის მოხმარების დაწყებამდე რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

მანქანის ტარება და ხელსაწყოს მოხმარება:

ENDOXAN-ის მოხმარების პერიოდში მან შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი გვერდითი ჩვენებები, რომლებიც გავლენას მოახდენენ მანქანის ტარების და ხელსაწყოს მოხმარების უნარზე. თქვენი მკურნალი ექიმი მიიღებს გადაწყვეტილებას თქვენთვის მანქანის ტარების და ხელსაწყოს მოხმარების დასაშვებობის თაობაზე.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ENDOXAN-ის შემცველობაში არსებული ზოგიერთი დამხმარე ნივთიერებების შესახებ:

ინფორმაცია არ არის მოცემული.

სხვა წამლებთან ერთად მოხმარება:

რეცეპტის გარეშე გასაყიდი პრეპარატების ჩათვლით ნებისმიერი პრეპარატის მიღების ან არც თუ ისე დიდი ხნის წინ მიღების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს. განსაკუთრებით ქვემოთ აღნიშნული პრეპარატების და ნივთიერებების ENDOXAN-თან ერთად მიღების პერიოდში შეიძლება წარმოიქმნას გარკვეული პრობლემები.

ქვემოთ აღნიშნულმა პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიოს ENDOXAN-ის ეფექტის შემცირება:

- აპრეპ'ტანტი (გულისრევის წინააღმდეგ გამოსაყენებელი პრეპარატი);
- ბუპროპიონი (ანტიდეპრესანტი);
- ბუსულფანი (კიბოს წამალი);
- ტიოტეპა (კიბოს წამალი);
- ციპროფლოქსაცინი (ბაქტერიების წარმომქმნელი ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატი);
- ქლორამფენიკოლი (ბაქტერიების წარმომქმნელი ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატი);
- ფლუკონაზოლი (სოკოს წარმომქმნელი ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატი);
- იტრაკონაზოლი (სოკოს წარმომქმნელი ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატი);
- პრასუგრელი (სისხლის გასათხელებლად გამოსაყენებელი პრეპარატი);
- სულფონამიდები (ბაქტერიების წარმომქმნელი ინფექციების საწინააღმდეგო სულფადიაზინის, სულფასალაზინის და სულფამეტაქსაზოლის მაგვარი პრეპარატები);

ქვემოთ აღნიშნულმა პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიონ ENDOXAN-ის მავნე ეფექტის გაზრდა:

- ალლოპურინოლი (ჩიყვის დაავადების დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);
- აზატიოპრინი (იმუნურ სისტემაზე ზემოქმედებისათვის გამოსაყენებელი პრეპარატი);
- ქლორალჰიდრატი (უძილობის მკურნალობისათვის გამოსაყენებელი პრეპარატი);
- სიმეტიდინი (კუჭის მჟავიანობის შესამცირებლად გამოსაყენებელი პრეპარატი);
- დისულფირამი (ალკოჰოლზე დამოკიდებულების მკურნალობისათვის გამოსაყენებელი პრეპარატი);
- გლიცერალდეჰიტი (მეჭეჭების მკურნალობისათვის გამოსაყენებელი პრეპარატი);
- პროტეაზ ინჰიბიტორები (ვირუსების წარმომქმნელი ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატი);
- ონდანცეტრონი (ქიმიოთერაპიით გამოწვეული გულისრევის მკურნალობისათვის გამოსაყენებელი პრეპარატი);
- ღვიძლის ფერმენტების მასტიმულირებელი პრეპარატები:

- რიფამპინი (ბაქტერიების წარმომქმნელი ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატი);
- ეპილეფსიის დაავადების მკურნალობის დროს გამოსაყენებელი ზოგიერთი პრეპარატები (ფენბოარბიტალი, კარბამაზეპინი, ფენიტოინი);
- ყვითელი კანტარონი (მსუბუქი დეპრესიის დროს გამოსაყენებელი მცენარეული პრეპარატი; St. John's wort);
- კორტიკოსტეროიდები (არამიკრობული ინფექციების დროს გამოსაყენებელი პრეპარატი).

ქვემოთ აღნიშნულმა პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიონ სისხლში ENDOXAN-ის ეფექტის და/ან იმუნურ სისტემაზე მოქმედების ზრდა:

- ანგიოტენცინი, გარდამქმნელი ფერმენტის (ADE) ინჰიბიტროები (ჰიპერტონიის მკურნალობის დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);
- ნატალიზუმაბი (მრავალი სკლეროზული დაავადების მკურნალობის დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);
- პაკლიტაქსელი (კიბოს წამალი);
- ტიაზიდების ჯგუფის დიურეტიკები (არტერიული წნევის დასაწევი ან სხეულში დაგროვილი სითხის გამოსაყოფად გამოსაყენებელი ჰიდროქლორტიაზიდების ან ქლორტალიდონისმაგვარი პრეპარატები);
- ზიდოვუდინი (ვირუსების წარმომქმნელი ინფექციების საწინააღმდეგო პრეპარატების ჯგუფი);

- კლოზაპინი (ზოგიერთი ფსიქოლოგიური დაავადებების მკურნალობის დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);

ქვემოთ აღნიშნული პრეპარატების მოხმარებამ ან მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს ENDOXAN-ის გულზე მავნე ეფექტის გაზრდა:

- ანტრაციკლინები (ბლეომიცინის, დოქსორუბიცინის, ეპ[ირუბიცინის და მიტომიცინის მაგვარი კიბოს წამლები);
- ციტარაბინი (კიბოს წამალი);
- პენტოსტატინი (კიბოს წამალი);
- გულის არეში ჩატარებული რადიოთერაპია;
- ტრასტუზუმაბი (კიბოს წამალი);

ქვემოთ აღნიშნული პრეპარატების მოხმარებამ ან მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს ENDOXAN-ის ფილტვებზე მავნე ეფექტის გაზრდა:

- ამიოდარონი (გულისცემის რითმის დასარეგულირებლად გამოსაყენებელი პრეპარატი);
- G-CSF ან GM-CSF (ქიმიოთერაპიის შემდეგ ამ ჰორმონების შემამცირებელი სისხლის თეთრი უჯრედების დასარეგულირებლად გამოსაყენებელი პრეპარატი);

ქვემოთ აღნიშნული პრეპარატების მოხმარებამ ან მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს ENDOXAN-ის თირკმელებზე მავნე ეფექტის გაზრდა:

- ამფოტერიცინ B (სოკოს წარმომქმნელი ინფექციების წინააღმდეგ გამოსაყენებელი პრეპარატი);
- ინდომეტაცინი (ტკივილების და არამიკრობული ანთებების დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);

ENDOXAN-ის ეფექტის ქვეშ არსებული და ENDOXAN-ზე გავლენის მომხდენი სხვა პრეპარატების შორის აღინიშნება ქვემოთ აღნიშნული პრეპარატები:

- ეტანერცეპტი (რევმატული ართრიტის მკურნალობის დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);
- მეტრონიდაზოლი (ბაქტერიების ან პროტოზოიდების გამომწვევი ინფექციების დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);
- ტამოქსიფენი (მკერდის კიბოს დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);
- ბუპროპიონი (თამბაქოზე დამოკიდებულების მკურნალობის დროს გამოსაყენებელი პრეპარატი);
- კუმარინები (სისხლის გასათხელებლად გამოსაყენებელი ვარფარინის მაგვარი პრეპარატები);
- ციკლოსპორინი (იმუნურ სისტემაზე ზემოქმედებისათვის გამოსაყენებელი პრეპარატი);

- დეპოლარიზანი, კუნთების მოსადუნებელი (ქირურგიული ჩარევის დროს კუნთების მოსადუნებლად გამოსაყენებელი სუქსინილ კოლინის მაგვარი პრეპარატები);
- დიგოქსინი, ბეტა-აცეტილ დიგოქსინი (გულის დაავადებების დროს გამოსაყენებელი პრეპარატები);
- აცრები;
- ვერპაამილი (ჰიპერტონიის, ანგინის ან გულისცემის რითმის დარღვევის დროს გამოსაყენებელი პრეპარატი).

ამჟამად ნებისმიერი პრეპარატის რეცეპტით ან რეცეპტის გარეშე მიღების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

3. ENDOXAN-ის მოხმარების წესი:

- **ინსტრუქციები სათანადო მოხმარების და დოზის / მოხმარების სიხშირის შესახებ**:

ENDOXAN-ის დოზა დადგენილი უნდა იქნეს თქვენი მკურნალი ექიმის მიერ. ამ პრეპარატის დოზის დადგენის დროს, აუცილებელია ქვემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება:

- თქვენი დაავადების ტიპი;
- თქვენი წონა და სიმაღლე;
- ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- სხვა კიბოს წამლების მიღება-არ მიღების ან სხივური თერაპიის ჩატარება- არ ჩატარების ფაქტი.

ENDOXAN ინიშნება პერიოდულად. მკურნალობის ყოველი პერიოდის შემდეგ საჭიროა შესვენება (ციკლოსფამიდის მიღების პერიოდი) და გარკვეული დროის შემდეგ პრეპარატის მიღება.

თქვენს მკურნალ ექიმს შეუძლია თქვენთვის შეცვალო პრეპარატის დოზა და მიღების პერიოდების შორის შუალედები. ამისათვის საჭიროა ქვემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინება:

- ღვიძლთან და თირკმელებთან დაკავშირებული პრობლემები;
- თქვენი ასაკი;

- **მოხმარების ხერხი და მეთოდი:**

ENDOXAN-ის შეყვანა უნდა განხორციელდეს ექიმის ან ექთნის მიერ.

- აღნიშნული პრეპარატის შეყვანა ხორციელდება შპრიცის მეშვეობით ან მიიღება ორალური გზით;
- ამ პრეპარატის შპრიცის მეშვეობით შეყვანის შემთხვევაში, დიდი მოცულობის სითხე ნლ-ნელა შეყვანილი უნდა იქნეს ვენაში (ინფუზია). პრეპარატის შეყვანა

აგრეთვე შესაძლებელია მხარში, ხელის უკანა მხარეს ან ლავიწის ძვლის ქვედა მხარეს არსებულ ვენებში. გამოსაყენებელი დოზის მიხედვით, პრეპარატის შეყვანა შესაძლებელია რამდენიმე წუთიდან ერთი საათის განმავლობაში.

- ENDOXAN-ის ორალური გზით მიღების შემთხვევაში, ზოგიერთი დამატკბობლების (თხევად ელიქსირად წოდებული) გამოყენების გზით, შესაძლებელია მისი გათხელება;
- ხშირ შემთხვევებში ENDOXAN-ის შეყვანა აგრეთვე შესაძლებელია ვხვა კიბოს პრეპარატებთან ან სხივურ თერაპიასთან ერთად.

- **სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფები**:

ბავშვებში მოხმარება: პრეპარატი მოხმარებული უნდა იქნეს ექიმის დანიშნულების მიხედვით.

ხანდაზმული პირების მიერ მოხმარება: ვინაიდან ხანდაზმულ პირებს ხშირად აღენიშნებათ ღვიძლის, თირკმელების, გულის და სხვა ორგანოების დარღვევები და ისინი ღებულობენ ქრონიკული დაავადებების საწინააღმდეგო პრეპარატებს, თუ თქვენ იმყოფებით ხანდაზმულ ასაკში, საჭიროა თქვენი მკურნალი ექიმის მიერ თქვენი ახლო მეთვალყურეობის ჩატარება. მეთვალყურეობის შედეგების მიხედვით, თქვენს მკურნალ ექიმს შეუძლია შეგიცვალოთ წამლის დოზა და/ან წამლის მიღების პერიოდულობა.

- **მოხმარების განსაკუთრებული შემთხვევები**:

თირკმელების უკმარისობა: თირკმელების უკმარისობის არსებობის შემთხვევაში, თქვენს მკურნალ ექიმს შეუძლია შეგიმციროთ წამლის დოზა.

ღვიძლის უკმარისობა: ღვიძლის მწვავე უკმარისობის არსებობის შემთხვევაში, თქვენს მკურნალ ექიმს შეუძლია შეგიმციროთ წამლის დოზა.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შეამჩნევთ ENDOXAN-ის ძლიერ ან სუსტ მოქმედებას, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ ღებულობთ ENDOXAN-ს საჭიროზე დიდი დოზით:

თუ თქვენ ღებულობთ ENDOXAN-ს საჭიროზე დიდი დოზით ან თქვენმა შვილმა შემთხვევით დალია წამალი, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს ან უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების განყოფილებას. განსაკუთრებული მკურნალობის ჩასატარებლად, შეიძლება საჭირო გახდეს საავადმყოფოში დაწოლა.

საჭიროზე დიდი დოზით ENDOXAN-ის მიღების შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

თუ თქვენ დაგავიწყდათ ENDOXAN -ის მიღება:

ვინაიდან ENDOXAN შეყვანილი უნდა იქნეს ჯანდაცვის პერსონალის მიერ, ასეთი შემთხვევის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ყველა საჭირო ზომის მიღება.
დავიწყებული დოზის ასანაზღაურებლად, ორმაგი დოზის მიღება არ არის რეკომენდირებული.

ENDOXAN ით მკურნალობის დასრულების შემდეგ მოსალოდნელი ჩვენებები:
თქვენი მკურნალი ექიმის გარეშე, ENDOXAN-ის მიღების შეწყვეტა დაუშვებელია.
ამ პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებით რაიმე პრობლემის არსებობის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

4. როგორია შესაძლებელი გვერდითი ჩვენებები?
ისევე, როგორც ყველა წამალი, ENDOXAN ის შემცველობაში არსებული ნივთიერებების მიმართ მგრძნობელობის მქონე ზოგიერთ პაციენტებს შეიძლება წარმოექმნათ გვერდითი ჩვენებები. აღნიშნული გვერდითი ჩვენებები შეიძლება პრეპარატის მიღების შემდეგაც წარმოიქმნას.

ქვემოთ აღნიშნული ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, უნდა შეწყვიტოთ ENDOXAN-ის მიღება და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოთ თქვენს მკურნალ ექიმს ან მიმ ართოთ უახლოესი საავადმყოფოს სასწრაფო სამედიცინო განყოფილებას:

- ყველა ჩვენებასთან ეთად, სუნთქვის გაძნელების, ხიხინის, კანზე გამონაყარის, სახის და ტუჩების ქავილის ან დასივების მაგვარი ალერგიული რეაქციები.
- რაიმე ზემოქმედების ქვეშ არ ყოფნის ან სილურჯის ან ღრძილებიდან სისხლდენის შემთხვევები. ზემოაღნიშნული ჩვენებები ნიშნავს იმას, რომ სისხლში საკმაოდ დაქვეითებული გაქვთ თრომბოციტების რაოდენობა.
- პრეპარატის მიღების პერიოდში სისხლში თეთრი
- უჯრედების რაოდენობის ზედმეტად შემცირება. ასეთი მდგომარეობა ზოგადად არ ნიშნავს რაიმე სიმპტომის არსებობას, მაგრამ ~შეიძლება გაზარდოს ინფექციური დაავადებების მიმართ მიდრეკილება. ინფექციასთან დაკავშირებული რაიმე სიმპტომის (მაღალი სიცხის, გაციების, კანკალის, ოფლიანობის ან ცივი ოფლის გამოსვლის, ან ხველების, ან შარდვის დროს წვის შეგრძნების, შარდის შეუკავებლობის მაგვარი ნებისმიერი ინფექციის სიმპტომების) წარმოქმნის შემთხვევ აში, არსებული ინფექციისგან განკურნების მიზნით თქვენმა მკურნალმა ექიმმა შეიძლება მოითხოვოს თქვენთვის ანტიბიოტიკების დანიშვნა.
- სახის ფერის შეცვლა, სისუსტის და დაღლილობის შეგრძნება. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ სისხლში დაქვეითებული გქონდეთ წითელი უჯრედების

რაოდენობა (ანემია).თქვენს სისხლში არსებული წითელი უჯრედების სწრაფად გამომუშავების გამო, მიუხედავად ამ პრეპარატის მიღების საჭიროების არ არსებობისა, ანემიის ჩამოყალიბების გამო, შესაძლებელია დაგჭირდეთ სისხლის გადასხმა.

ყველა ზემოაღნიშნული წარმოადგენს საკმაოდ სერიოზულ გვერდით ჩვენებებს. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს სასწრაფო სამედიცინო ჩარევა ან საავადმყოფოში დაწოლა.

ქვემოთ მოცემულია ENDOXAN-ის მიღებით გამოწვეული გვერდითი ჩვენებები. გვერდითი ჩვენებები დაყოფილია შემდეგნაირად:

საკმაოდ გავრცელებული:	შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან სულ მცირე ერთს.
გავრცელებული:	შეიძლება წარმოექმნას 10 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 100 პაციენტიდან ერთს ან ერთზე მეტს.
არ გავრცელებული:	შეიძლება წარმოექმნას 100 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 1.000 პაციენტიდან ერთს ან ერთზე მეტს.
იშვიათი:	შეიძლება წარმოექმნას 1.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს, მაგრამ 10.000 პაციენტიდან ერთს ან ერთზე მეტს.
ძალიან იშვიათი:	შეიძლება წარმოექმნას 10.000 პაციენტიდან ერთზე ნაკლებს.
უცნობი:	ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად დადგენა შეუძლებელია.

ძალიან გავრცელებული:

- ძვლის ტვინის სუპრესია. კლინიკურად ძვლის ტვინის ფუნქციის ნაწილობრივად ან მთლიანად დარღვევით გამოწვეული სისხლის უჯრედების და იმუნურ სისტემაზე დამოკიდებული თეთრი უჯრედების შემცირებით (ნეიტროპენია, აგრანულოციტოზი, გრანულოციტოპენია) გამოწვეული ინფექციების მიმართ მიდრეკილების ზრდა, შედედებესთან დაკავშირებული თრომბოციტების რაოდენობის ზრდით (თრომბოციტოპენია) გამოწვეული სისხლდენის მიმართ მიდრეკილება, ჟანგბადის მზიდი წითელი უჯრედების შემცირებით გამოწვეული ანემია, ან ყველა ამ უჯრედის შემცირებით (პანციტოპენია) გამოწვეული ყველა ზემოაღნიშნული ჩვენება.

- ჰემოლიზური ურემიული სინდრომი, კაპილარული სისხლდენით გამოწვეული ანემია, თირკმლის მწვავე უკმარისობა, თრომბოციტოპენია და სხვა დაავადებები).
- სისხლძარღვებში შედედება.
- იმუნური სისტემის სუპრესია.
- კანის თმიან ნაწილში თმის ცვენით გამოწვეული მელოტობა (ალოპეცია).
- საშარდე გზების ინფექცია (ცისტიტი).
- შარდში თვალით უხილავი, მაგრამ შარდის ანალიზის შედეგად აღმოჩენილი, ინფექცია (მიკროჰემატურია).
- სიცხის აწევა.

გავრცელებული:

- ბაქტერიები, სოკოვანი დაავადება, ვირუსი, პროტოზოიდებით და პარაზიტებით გამოწვეული სხვადასხვა სახის ინფექციები და ძველი ინფექციების განახლება.
- ღვიძლის ფუნქციების მაჩვენებელი და სისხლის ანალიზით დადგენილი დარღვევები;
- საშარდე გზების ინფექციები სისხლდენით (ჰემორაგიული ცისტიტი);
- შარდში სისხლის გაპარვა (მაკროჰემატურია);
- მამაკაცებში სპერმის გამომუშავების დარღვევა (სპერმატოგენეზი).
- ზოგადი მნიშვნელობით სხეულის სისუსტე და ძალის დაკარგვა (ასტენია);
- პირის ღრუსავით სველი კანისანთება (ლორწოვანი გარსი).

არ გავრცელებული:

- ფატალური შედეგის მქონე ფილტვების ინფექცია (პნევმონია);
- ფატალური შედეგის მქონე სისხლის ინფექცია 9სეფსისი);
- ანაფილაქსიური / ანაფილაქტოიდური რეაქციები (მათისიმპტომებია: სუნთქვივ გაძნელება, სუნთქვა ხიხინით, კანზე გამონაყარი, სახის და ტუჩების ქავილის ან დასივების მქონე ალერგიული რეაქციები, ჰიპერმგრძნობელობის ზრდა და ფატალური შედეგის მქონე სუნთქვის გაძნელება და შოკში ჩავარდნა;
- მადის დაკარგვა;
- სახის და კისრის სიწითლე (გაწითლება);
- ქალებში ოვულაციის დარღვევა;

იშვიათი:

- სისხლის კიბოები (მწვავე მიელოიდური ლეიკემია, მწვავე პრომიელოციტური ლეიკემია);
- მეორადი სიმსივნეები;
- შარდის ბუშტის კიბო.
- მიელოდისპლასტიური სინდრომი (ძვლის ტვინში სხვადასხვა სერიის ღეროვანი უჯრედების და დაზიანებული უჯრედების დიფერენციაციის შედეგად

წარმოქმნილი და შემდგომში კიბოს უჯრედებად ქცეული ასაკის მატებასთან დაკავშირებული სისხლის დაავადებები);

- არასათანადო ADH სინდრომი (სხეულში სითხის შემაკავებელი ჰორმონის - ADH-ის ნატრიუმის დონეების შემცირებით გამოწვეული მრავალი დაავადება);
- სხეულის გაუწყლოება (დეჰიდრადაცია);
- თავბრუსხვევა / ძილიანობა;
- მხედველობის დარღვევა;
- კანზე გამონაყარი;
- კანის ანთება (დერმატიტი);
- ხელისგულის შიდა მხარეების, ხელის ფრჩხილების და ფეხის ტერფების ფერის შეცვლა;
- მენსტრუალური ციკლის სამუდამოდ შეწყვეტა (ამენორეა);
- სპერმების რაოდენობის მუდმივად შემცირება (ოლიგოსპერმია) ან სპერმების არ გამომუშავება (აზოსპერმია);
- ტკივილი გულმკერდის არეში.

ძალიან იშვიათი:

- ჰიპერმგრძნობელობის რეაქციები (მათი სიმპტომები: სუნთქვის გაძნელების, სუნთქვა ხიხინით, კანზე გამონაყარის და სახის და ტუჩების ქავილის ან დასიების მაგვარი ალერგიული რეაქციები);
- სისხლში ნატრიუმის დონეების შემცირება (ჰიპონატრემია);
- სხეულში სითხის დაგროვება;
- გონების გაფანტვა (კონფუზია);
- კრუნჩხვებში ჩავარდნა (კონვულსია);
- თვალის ზედაპირების და თვალის ქუთუთოების შიდა ნაწილის ანთება (კონიუქტივიტი);
- თვალის შიგნით სითხის დაგროვებით გამოწვეული თვალის დასიება (თვალის შეშუპება);
- ჰემორაგიული ენტეროკოლიტი (სისხლდენის და ფაღარათის სიმპტომების მქონე ნაწლავის ანთება);
- უცბად დაწყებული პანკრეასის ანთება (მწვავე პანკრეატიტი);
- პირის ღრუსავით სველ კანზე იარების წარმოქმნა (ლორწოვანი გარსის წყლულები);
- ენაზე და პირის ღრუს ანთება (სტომატიტი);
- ფაღარათი;
- პირღებინება;
- კუჭში შეკრულობა;
- გულისრევა;

- ტოქსიკური ეპიდერმალური ნეკროლიზი (კანის ყველა ფენაში გავრცელებული გამონაყარი და კანის აქერცვლა, სიცხე, კონიუქტივიტი, სურდო, ხველება, ყელის ტკივილი, კუნთების ტკივილი, კანის სისველე და სხვა დაავადებები);
- სტივენ ჯონსის სინდრომი (წამიერად დაწყებული კანის წყლულოვანი დაავადებები);
- საშარდე გზების სისხლდენა (სუბურეტრალური სისხლდენა);
- შარდის ბუშტის კედელზე სითხის დაგროვებით გამოწვეული დასიება (შეშუპება);
- შარდის ბუშტის კედლის ანთება;
- შარდის ბუშტის კედელზე ნაწიბურების წარმოქმნა და მისი გასქელება;
- თირკმლის უკმარისობა;
- სისხლში კრეატინინის დონის გაზრდა;
- თავის ტკივილი;
- პრეპარატის შეყვანის ადგილზე რეაქციის წარმოქმნა (სისხლძარღვებში სისხლის შედედება, შედედების ადგილების ანთება, კანის ტკივილი, კანის დასიება, გაწითლება და კანის ლპობა);
- ერთზე მეტი ორგანოს უკმარისობა;
- სხეულში სითხის დაგროვება (შეშუპება);
- გრიპის მაგვარი დაავადება;
- ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის გაუარესება.

უცნობი:

- სეპტიური შოკი (ინფექციის გამო, მთელ სხეულში არსებული ინფექციით გამოწვეული სხეულის ქსოვილებში სისხლის უკმარისობის გამო წარმოქმნილი უჯრედების ფუნქციების მოშლა და ორგანოების მწვავე უკმარისობა);
- სიმსივნის ლიზისის სინდრომი (გადიდების დროს ან სიმსივნის სწრაფად განახლებული უჯრედების ქიმიოთერაპიის შემდეგ ზრდის შედეგად წარმოქმნილი უჯრედების განადგურება უჯრედის შიგნით არსებული მრავალი ნივთიერების სისხლის მიმოქცევაში მონაწილეობის მიღების გზით წარმოქმნილი ყველა ჩვენება);
- თეთრი უჯრედების - ლიმფოციტების რაოდენობის შემცირება (ლიმფოპენია);
- სისხლში შაქრის დონის ცვლილებები (მისი გაზრდა ან შემცირება);
- ნერვულ სისტემასთან დაკავშირებული დარღვევები (ნეიროტოქსიკურობა). კლინიკურად კუნთების ტკივილის (მიელოპათიის), ყველა ნერვის დაზიანების (პერიფერიული ნეიროპათია, პოლინეიროპათია), ნერვების დაზიანებით გამოწვეული ტკივილები (ნევრალგია), დაბუჟების ან შეგრძნების დაკარგვის (დისესტეზია, ჰიპოესთეზია, პარესთეზია), კანკალის, გემოს დაკარგვის (დისგოზია, ჰიპოგოზია, პაროსმია), ნიშნების მქონე ან კლინიკურად თავის

ტკივილის, ფსიქიკური მდგომარეობის ცვლილების, კრუნჩხვების, მხედველობის დარღვევის და რადიოლოგიურად ტვინის ორივე ნახევარსფეროს უკანა ნაწილებში არსებული თეთრი ნივთიერების დასივების მაგვარი ჩვენებების მქონე კლინიკურ-რადიოლოგიური დაავადება - შექცევადი უკანა ლეიკოენცეფალოპათიის სინდრომი;

- ზოგადად ღვიძლის დაავადებით გამოწვეული ტვინის დაავადება (ენცეფალოპათია);
- ცრემლსადენი სეკრეციის ზრდა;
- სიყრუე;
- ყურში წუილი;
- გულის შეკუმშვის დარღვევა ან არარეგულარულად შეკუმშვა (პარკუჭების ფიბრილაცია, პარკუჭების ტაქიკარდია);
- კარდიოგენური შოკი (გულში არასაკმარისი ოდენობით სისხლის მიუწოდებლობით და სხეულების ქსოვილებში სისხლის მიმოქცევის დარღვევით გამოწვეული უჯრედების ფუნქციის დარღვევა და ორგანოების მწვავე უკმარისობა);
- გულის ირგვლივ არსებულ პერიკარდიუმში სითხის დაგროვება (პერიკარდიალური ეფუზია);
- მიოკარდიუმის ინფარქტი (გულის შეტევა);
- გულის უკმარისობა;
- კარდიომიოპათია (გულში გარკვეული დარღვევების წარმოქმნა);
- გულის კუნთების ანთება (მიოკარდიტი);
- გულის გარშემო დაგროვილი სითხის ანთება (პერიკარდიტი);
- ელექტროკარდიოგრაფიის დროს აღმოჩენილი ცვლილებები (QT-ის გაგრძელება);
- გულისცემის რითმის დარღვევები (არითმია) აღინიშნება .გულისცემის რითმის შენელება, აჩქარება ან ხშირი გულისცემა.
- სისხლძარღვებში წარმოქმნილი შედედების ფილტვებში გადასვლა (პულმონალური ემბოლია);
- სისხლძარღვებში შედედებული სისხლის (თრომბოციტების) დაგროვება;
- სისხლძარღვების ანთება (ვასკულიტი);
- სხეულის ბოლო წერტილებში სისხლის მიწოდების შემცირება (პერიფერიული იშემია);
- ფილტვის ვენო-ოკლუზიური დაავადება (ფილტვების სისხლძარღვების გაჭედილობა);
- მწვავე რესპირაციული დისტრეს სინდრომი (უცბად დაწყებული სუნთქვის გაძნელებასთან დაკავშირებული ფილტვების დაავადება);

- კლინიკურად ფილტვის ქსოვილის გასქელება ((ფიბროზი), მცირე ზომის სასუნთქი გზების ანთება გაჭედვით (ობლიტერაციული ბრონქიოლიტი), ფილტვის ქსოვილის გავრცელებული ან ადგილობრივი ანთება (პნევმონია, პნევმონიტი) ან ფილტვის შიგნით არსებული ვეზიკულების ალერგიული ანთება (ალერგიული ალვეოლიტი) და ზემოაღნიშნულის მაგვარი ფილტვის ქსოვილების დაავადებები;
- ფილტვის სისხლძარღვში არსებული არტერიული წნევის აწევა (პულმონარული ჰიპერტონია);
- ფილტვებში სითხის დაგროვება (პულმონარული შეშუპება);
- სასუნთქი გზების და ბრონქების შევიწროვება (ბრონქოსპაზმი);
- ჩასუნთქვა-ამოსუნთქვის გაძნელება (ქოშინი);
- სისხლში არსებული ჟანგბადის დონეების დაცემა (ჰიპოქსია);
- ხველება;
- ცხვირის გაჭედილობა;
- ცხვირიდან გამონადენი;
- პირის და საყლაპავის ტკივილი;
- კუჭნაწლავის სისტემაში სისხლჩაქცევები;
- წვრილი და მსხვილი ნაწლავის ანთება;
- მუცლის ტკივილი;
- სანერწყვე ჯირკვლის ანთება;
- ღვიძლის ვენო-ოკლუზიური დაავადება (ღვიძლის გარკვეული ტიპის დაავადება);
- ღვიძლის ანთება (ჰეპატიტი);
- ხშირ შემთხვევებში კანის და შარდის ფერის გაყვითლება და ღვიძლში არსებული ნაღვლის ნაწლავებში გადამტანი არხის გაჭედილობა (ქოლესტაზი);
- ღვიძლის ტოქსიკურობა. ღვიძლის კლინიკური უკმარისობა, ღვიძლის ენცეფალოპათია, მუცელში სითხის დაგროვება (ასციტი), ღვიძლის გადიდება (ჰეპატმოეგალია),სიყვითლე, მუცელში ბილირუბინის და ღვიძლის ფერმენტების დონის (ASAT, ALAT, ALP, gamma-GT) ზრდა.
- ერითემის მულტიფორმა (გარკვეული სახის კანის დაავადება);
- პალმარ-პლანტარული ერითროდიზესთეზია (გარკვეული სახის კანის დაავადება);
- დასხივებით გამოწვეული ეგზემა;
- ქავილი (ანთებით გამოწვეული ქავილი);
- კანის სიწითლე;
- ჭინჭრის ციება;
- კანში წყლულების წარმოქმნა;

- სახის დასიება;
- ჭარბი ოფლიანობა;
- კუნთების გათხელება (რაბდომიოლიზი);
- სკლეროდერმა (გარკვეული სახის კანის დაავადება);
- კუნთების სპაზმები;
- კუნთების ტკივილი (მიალგია);
- სახსრების ტკივილი;
- საშარდე გზების სათანადო დაავადებები: თირკმლის არხების ნეკროზი (თირკმლის გარკვეული სახის დაავადება), თირკმლის არხების დარღვევა (თირკმლის შიგნით არსებული მილაკების დარღვევები, ტოქსიკური ნეფროპათია, ჰემორაგიული ურეთრიტი, წყლულოვანი ცისტიტი, შარდის ბუშტის კონტრაქტურა, ნეფროგენური დიაბეტი (თირკმელიდან გამომდინარე შაქრის დაავადება), საშარდე სისტემაში ატიპიური ეპითელური შარდის ბუშტის უჯრედები, სისხლის შარდოვანას აზოტის მაჩვენებლის (BUN) ზრდა;
- ნაადრევი მშობიარობა;
- უშვილობა;
- საკვერცხეების უკმარისობა;
- მენსტრუალური ციკლის დარღვევა;
- სათესლე ჯირკვლების დაპატარავება (ატროფია);
- სისხლში ესტროგენის ჰორმონის დონის შემცირება;
- სისხლში გონადოტროპინის ჰორმონის დონის გაზრდა;
- დედის მუცელში ბავშვის დაღუპვა;
- დედის მუცელში ბავშვის განვითარების ანომალია (მალფორმაცია);
- დედის მუცელში ბავშვის განვითარების ჩამორჩენა;
- დედის მუცელში ბავშვზე ტოქსიკური ზემოქმედება (ძვლის ტვინის სუპრესიის და გასტროენტერიტის ჩათვლით);
- სისხლში ლაქტატ დეჰიდროგენაზის მაჩვენებლის ზრდა;
- სისხლში C-რეაქტიული პროტეინის (CRP) მაჩვენებლის ზრდა;
-

ნებისმიერი ზემოაღნიშნული გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობეთ თქვენს მკურნალ ექიმს ან ფარმაცევტს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული გვერდითი ჩვენებები ითვლება სერიოზულ გვერდით ჩვენებებად, კიბოს და გვერდითი ჩვენებების რისკის გათვალისწინებით, თქვენმა მკურნალმა ექიმმა შეიძლება მოითხოვოს წამლის მიღების გაგრძელება.

გვერდითი ჩვენებების მოხსენება

წინამდებარე ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს. გარდა ამისა, წარმოქმნილ გვერდით ჩვენებებთან დაკავშირებით შეგიძლიათ დააკლიკოთ www.titck.gov.tr ვებ გვერდზე არსებულ „წამლების გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების“ ლინკს ან დარეკოთ 0 800 314 00 08 ნომერზე თურქეთის ფარმაკოლოგიური ზედამხედველობის ცენტრში (TÜFAM) და აცნობოთ გვერდითი ჩვენებების შესახებ. წარმოქმნილი გვერდითი ჩვენებების შესახებ შეტყობინების დატოვების შემდეგ, თქვენ მოგეწოდებათ უფრო მეტი ინფორმაცია თქვენს მიერ მოხმარებული პრეპარატის უსაფრთხოების შესახებ.

წინამდებარე ინსტრუქციაში გაუთვალისწინებელი ნებისმიერი გვერდითი ჩვენების წარმოქმნის შემთხვევაში, რჩევისთვის მიმართეთ თქვენს ექიმს ან ფარმაცევტს.

5. **ENDOXAN ის შენახვა:**

შეინახეთ ENDOXAN ბავშვების ხელმიუწვდომელ ადგილზე თავის შეფუთვაში.
ვინაიდან ENDOXAN-ის შეყვანა ხორციელდება საავადმყოფოს პირობებში, ის სათანადო წესით შენახული უნდა იქნეს საავადმყოფოს აფთიაქში. თუ საჭიროა პრეპარატის თქვენს მიერ შენახვა, შენახვის პირობები მოცემულია ქვემოთ.

- შეინახეთ პრეპარატი 25^{0}C-ზე ნაკლები ტემპერატურის პირობებში.
- შეინახეთ პრეპარატი ორიგინალ შეფუთვაში.

პრეპარატი მოხმარებული უნდა იქნეს მისი ვარგისიანობის ვადის შესაბამისად.

შეფუთვაზე აღნიშნული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ ENDOXAN-ის მოხმარება დაუშვებელია.

ვადაგასული ან გამოუყენებელი პრეპარატების ნაგავში ჩაგდება არ არის რეკომენდირებული! გადაეცით პრეპარატები გარემოს დაცვის და ურბანიზაციის სამინისტროს.
„ყოველი ციტოტოქსკური და ციტოსტატიკური სამედიცინო პროდუქტის მოხმარების შემდეგ ცარიელი ფლაკონები ითვლება საშიშ ნარჩენებად და მათი განადგურება უნდა განხორციელდეს 02.04.2015 წლის N 29314 ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებული ნარჩენების მართვის შესახებ ინსტრუქციის შესაბამისად.

ლიცენზიის მფლობელი: „Baxter Oncology GmbH lisansı ile EIP Eczacıbaşı İlaç Pazarlama A.Ş.

ბიუიუქდერეს გამზირი, ალი ქაიას ქუჩა N 5, ლევენტი 34394, სტამბოლი.

წარმოების ადგილი: Baxter Oncology GmbH, ჰალლე - გერმანია.

წინამდებარე მოხმარების ინსტრუქცია დამტკიცებულია 01.02.2016 წელს.